საქართველოს კანონი

„ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 05.11.2021, სარეგისტრაციო კოდი: 370010010.05.001.020411) 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. სააგენტომ 2027 წლის 1 იანვრამდე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს ამ კანონის ამოქმედებამდე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაცია.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**

თბილისი,

18 მარტი 2025 წ.

N362-IIმს-XIმპ